

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ 31 დეკემბრით დასრულებული
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	19 742	10 317	5 694	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	245 728	222 615	102 427	3.2.
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2 819	3 599	3 017	3.3.
მარაგები	228 318	373 325	232 584	3.4.
- მზა პროდუქცია	3 267	1 940	1 409	3.4.
- სხვა	225 051	371 385	231 175	3.4.
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	9 583	6 384	2 631	3.5.
ბიოლოგიური აქტივები	-			
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები		308	1 123	3.7.
ძირითადი საშუალებები	586 216	618 556	638 979	3.6.
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	743 110			
სულ აქტივები	1 835 516	1 235 104	986 455	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	193 494	346 705	159 962	3.8.
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 503	13 318	12 010	3.09
საგადასახადო ვალდებულებები	21 340	6 425	3 381	3.10.
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	59 914	64 215	22 535	3.11.
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	375 838	499 551	596 325	3.12.
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	1 037 721	975	306	3.13.
სულ ვალდებულებები	1 690 810	931 189	794 519	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')		379 777	297 627	3.14.
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	144 706	(75 862)	(105 691)	3.14.
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	144 706	303 915	191 936	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 835 516	1 235 104	986 455	

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი

ირმა ბუჩუკური

საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2 604 207	2 240 788	3.15.
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწვიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	2604207	2 240 788	3.15.
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 896 753)	(1 725 848)	3.15.
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	707 454	514 940	
სხვა შემოსავალი	901	26 579	3.16.
დასაქმებულთა ანაზღაურება	(227 673)	(195 868)	3.17. 3.18.
ცვეთა და ამორტიზაცია	(39 644)	(43 979)	3.18.
საპროცენტო შემოსავალი:		107	3.16.
საპროცენტო ხარჯი:	(35 732)	(52 439)	3.19.
იჯარის ხარჯი	(3 000)	(3 000)	3.18.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(248 548)	(250 112)	3.18.
სულ საოპერაციო ხარჯები	(553 696)	(518 712)	
საოპერაციო მოგება	153 758	(3 772)	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	66 810	33 397	3.16., 3.19.
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		277	3.16., 3.19.
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ	220 568	29 902	
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	220 568	29 902	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	220 568	29 902	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	303 915	191 936	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		82 150	3.14.
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(379 777)	(73)	3.14.
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	144 706	303 915	3.14.

შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქის“ დირექტორი

ირმა ბუჩუკური



2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „პურ-პროდუქტების საწარმო შირაქი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2006 წლის 16 ივნისს ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის ნომერი 6095/002-შპს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 202341787, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისის ნაძალადევის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. #3; ვ. ნინუას ქ. # 3.. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2007 წლის 11 თებერვალს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ლევან ბუჩუკური (პ.ნ. 01023004508).

1.3. კომპანიის დირექტორია ირმა ბუჩუკური (პ.ნ. 01022012937).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა პურის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფუნქციური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯვაში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 5%;

მანქანა-დანადგარები - 20%;

ელექტროძრავები და დიზელგენერატორები - 20%;

კავშირგაბმულობის საშუალებები - 20%;

კომპიუტერული ტექნიკა - 20%;

ავეჯი - 30%;

ინვენტარი - 20%;

სხვა ავტოტრანსპორტი - 20%;

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები - 50%.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსი, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი;

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	260	4	905
ლარი საბანკო ანგარიშებზე	10893	411	4629
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	8590	9902	160
სულ:	19742	10317	5694

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	245728	222615	102427
სულ:	245728	222615	102427

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიის დებიტორებს შეადგენდნენ 67 რეზიდენტი იურიდიული და და ფიზიკური პირები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2819	3599	3017
სულ:	2819	3599	3017

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წედლეული და მასალები	224768	369630	230762
მზა პროდუქცია	3267	1939	1409
საწვავ-საცხები მასალები	282	1756	413
სულ:	228318	373325	232584

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინასწარ ანაზღაურებული მომოსახურებები	13	1118	280
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	9570	5266	2351
აღიარებული პრეტენზიები (დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის აღიარებული, დავის პროცესშია)	743110		
სულ:	752693	6384	2631

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიწა ქ.თბილისი წინუას ქ. 3. საკ.კოდი 01.12.12.001.186. (651 კვმ)	210000.00	210000.00	210000.00
სულ:	210000	210000	210000

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
შენობები	299994	315783	332403
მანქანა-დანადგარები	44560	55700	50979
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	4011	5013	5900
კავშირგაბმულობის საშუალებები	1985	670	838
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	2112	607	759
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	2051	978	1223
ავეჯი	700	1000	1429
ინვენტარი	865	1082	1352
სხვა ავტოტრანსპორტი	11805	14756	19081
1000 ლარამდე ღირებულების ძს	8134	12966	15015
სულ:	376216	408556	428979

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 407356.99 ლარს;

2021 წლის ბოლოს - 368021.39 ლარს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“	0	0	75
FMG სადისტრიბუციო პროგრამა	0	308	1048
სულ:	0	308	1123

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 8413.86 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 8722.20 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	193494	346705	159962
სულ:	193494	346705	159962

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 23 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გადასახდელი ხელფასები	2503	13318	12010
სულ:	2503	13318	12010

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	21340	6425	3381
სულ:	21340	6425	3381

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2022 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც მოხდა 2023 წლის იანვარში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	59914	64215	22535
სულ:	59914	64215	22535

ყველა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილია.

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
პაშა ბანკი სესხი №0002753.001-001	375838	499551	596325
სულ:	375838	499551	596325

„პაშა ბანკიდან“ აღებული სესხი არის აშშ დოლარებში. 2022 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 161 270.42 USD-ს.

3.13. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები			
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	294608	975	306
გადახდილი აენსები	3		
დარიცხული გადასახადები, რომელიც არ არის აღიარებული, დავის პროცესშია)	743110		
სულ:	1037721	975	306

31.12.2022-ისთვის დამფუძნებლის მიერ კომპანიაში შემოტანილი საბრუნავი საშუალების თანხის ოდნობა შეადგენდა 294 608 ლარს.

2022 წელს საგადასახადო შემოწმების შედეგად საწარმოს დაერიცხა გადასახადებში ძირითადი თანხა 398 325 ლარის ოდენობით, ჯარიმა 196 663 ლარი, ხოლო საურავი 148 122.33 ლარი, რომელიც საწარმოს მიერ არ არის აღიარებული და საგადასახადო დავის პროცესშია.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	0	379777	297627
გაუნაწილებელი მოგება	144706	-75862	-105691
სულ:	144706	303915	191936

2022 წელს საწარმოს საკუთარი კაპიტალი 144 706 ლარი შეადგინა გაუნაწილებელი მოგებამ.

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

	2022 წელი	2021 წელი
პროდუქციის რეალიზაცია	2604207	2240788
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1896753	-1725848
სულ:	707454	514940

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო შემოსავალი	0	107
დადებითი საკურსო სხვაობები	67012	34016
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი (დეკლარაციის დამრგვალებები)	895	12713
არასაოპერაციო მოგება ძს რეალიზაციიდან	0	275
მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	0	13863
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5	4
სულ:	67913	60978

3.17. საწარმოო და მიწოდების ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასები თვითღირებულებაზე	-158541	-144927
სხვა საწარმოო ხარჯები (ძირითადი საშუალებების შენახვის ხარჯები, ნარჩენების ხარჯები, სხვა წვრილმანი საწარმოო ხარჯები)	-21300	-19832
საწარმოო სარემონტო ხარჯები	-2026	-3576
წარმოებაში ელექტროენერგიისა და გაზის ხარჯები	-175680	-169986
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯი	-4833	-4935
სხვა მიწოდების ხარჯები	-565	-958
სულ:	-362944	-344214

3.18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-68650	-50561
საპენსიო ფონდში გადასახადი	-482	-380
იჯარის ხარჯები	-3000	-3000
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-4094	-4358
საკანცელარიო ხარჯები	-842	-744
საწვავის ხარჯები	-23237	-24648
ცვეთა და ამორტიზაცია	-39644	-43979
კომუნალური ხარჯები	-11899	-13724
უბედურ შემთხვევაზე თანამშრომელთა დაზღვევის ხარჯები	-360	-578
საბანკო ხარჯები	-604	-433
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (პროგრამული მომსახურება, ტექდათვალიერება და სხვა)	-2893	-6234
სულ:	-155705	-148639

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო დანახარჯები	-35731	-52439
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-202	-619
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-170	-103
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-46	-2
სულ:	-36150	-53163

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება დეკლარაციებში დარიცხული გადასახადების დამრგვალებებისგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2022 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 12 სექტემბერს.